საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 17 დეკემბერი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №256

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციის და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურისათვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ა“, „პ.ბ“ ქვეპუნქტების და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19^1 (პრიმა) მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. სრულყოფილი საქმიანობისათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფისათვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციის და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურს სარგებლობაში გადაეცეს უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული კომპიუტერული ტექნიკა (კომპლექტი) და საოფისე მაგიდა.

მუხლი 2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 3. ქონების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი თან ერთვის დანართის სახით.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ოზურგეთი 17 დეკემბერი 2012 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი,

ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს თავჯდომარის ალეკო მამეშვილის სახით, (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №5 განკარგულება) სახით, (პირადი №33001009885 №ბ0929940) (შემდგომში „ქონების გამცემი") და

მეორეს მხრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციის და სამოქალაქო თავდაცვის სამსახური წარმოდგენილი სამსახურის უფროსის ილია ლეჟავას სახით (შემდგომში „ქონების მიმღები"), ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „ქონების გამცემი" „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების შესაბამისად გადასცემს „ქონების მიმღებს" სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ კომპიუტერულ ტექნიკას (კომპლექტი):

№	დასახელება	ინვენტ.№	რაოდენობა
1	იუ პი ეს - კვების ბლოკი	15/597	1 ერთეული
2	პროცესორი pchdx 2300 saTa (s/n HUB 7521 CTR)	15-01/2122/109	1 ერთეული
3	მონიტორი (s/n CND70323 MB)	15-01/2122/037	1 ერთეული
4	კლავიატურა	15/379	1 ერთეული
5	მაუსი	15/514	1 ერთეული

და საოფისე მაგიდას.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

„ქონები გამცემი" **„ქონების მიმღები"**

--- ---

(ხელმოწერა) (ხელმოწერა)

ალეკო მამეშვილი ილია ლეჟავა

Created by free version of DocuFreezer